



# ციხისუბანი-ღორთუბანი-ზედუბანი-აფიეთის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია

(ადიგენის მუნიციპალიტეტი)

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში  
და  
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP)  
დამატებითი დაფინანსება

2022 წ. ნოემბერი

## ქვეპროექტის აღწერა

ქვეპროექტით გათვალისწინებულია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების: ციხისუბანის, ღორთუბანის, ზედუბანის და აფიეთის დამაკავშირებელი, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. საპროექტო გზა იწყება სოფელ ციხისუბანთან, კვეთს სოფელ ღორთუბანს, შემდეგ კი უერთდება ზედუბანის და აფიეთის სოფლებს. გზის სიახლოვეს არსებული ტერიტორია დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს, აქვეა სახნავ-სათესი მიწებიც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზის სიგანე მარშრუტის დასაწყისში 4,5 მეტრს შეადგენს, რაც შემდეგ იცვლება 4,0 მეტრით, დასახლების შეზღუდული პირობების გამო. საპროექტო გზის ჯამური სიგრძეა 4.4 კმ. გზის სავალი ნაწილიდან ხეობის წყლის მოცილების მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია 1.0 და 1.5 მ დიამეტრის მილების მოწყობა - სულ მოწყობა 7 მილი.

არსებული გზის საფარი მოსწორებული ადგილობრივი გრუნტია. მოხრეშვის, ან სხვა სახის სამუშაოები გზაზე არ ჩატარებულა. წყლის სადრენაჟე სისტემის არ არსებობის გამო, გზა ეროზიისგან დაზიანებულია და აღენიშნება ჩაღრმავებები. გზის საფარის განივი კვეთი მოტეხილია, თუმცა საერთო ჯამში, საგზაო სამოსის პროფილი დამაკმაყოფილებელია. პროექტი ითვალისწინებს არსებული საგზაო სამოსის საპროექტო ნიშნულამდე მიყვანას (დაპროფილებას) და ორი ტიპის საფარის (ცემენტო-ბეტონის და ასფალტო-ბეტონის) მოწყობას. ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა საჭიროა გზის იმ მონაკვეთებზე (ქანობებზე), სადაც განსაკუთრებით აღინიშნება დახრილობა და ასფალტის დამგები მექანიზმების ოპერირება სირთულეს წარმოადგენს.

გზის საპროექტო მონაკვეთის გასწვრივ დაგეგმილია გზის საფარის 21 მუდმივი ტიპის შეერთების მოწყობა:

- საფუძვლის ფენა - ქვიშა-ხრეშის ნარევი, სისქე: 20 სმ;
- გზის საძირკველი - ქვიშა-ხრეშის ნარევი, სისქე: 15 სმ;
- გზის საფარი - მსხვილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევი, სისქე: 6 სმ;
- გზის საფარი - წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევი, სისქე: 4 სმ.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია არსებული, დაზიანებული აზბესტის შემცველი მილების დემონტაჟი.

გზის საფარის მოწყობის შემდეგ შესრულდება გზის კეთილმოწყობის სამუშაოები, როგორცაა: კერძო საკუთრებასთან მისასვლელის, საგზაო შეერთებების მოწყობა, საგზაო ნიშნების მონტაჟი. ქვეპროექტით გათვალისწინებულია 28 მისასვლელის მოწყობა კერძო საკუთრებასთან, მუდმივი ასფალტის საფარით.

გზის რეაბილიტაციის პროექტის პროექტირების პროცესში გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული სტანდარტი (სსტ) 72-2009: „გზის გეომეტრიული და კონსტრუქციული მოთხოვნები“.

რეაბილიტაციის შედეგად საგზაო ღერძები არ შეიცვლება. შესაბამისად, გზის სავალი ნაწილის არსებული პარამეტრები დარჩება უცვლელი.

ქვეპროექტის ადგილმდებარეობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ხასიათის გათვალისწინებით, ხეების ჭრის საჭიროება არ არის.

**გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი**

**(ა) ზემოქმედების შეფასება**

<p><b>აქვს თუ არა ქვეპროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?</b></p>	<p>ქვეპროექტს ექნება მცირე უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე. გზის რეაბილიტაციას ექსპლოატაციის ეტაპზე ექნება დადებითი ზემოქმედება მეზობლ თემებზე, რადგან სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებულ გზის საფარზე მოძრაობა ნაკლებ ემისიასა და ხმაურს განაპირობებს.</p> <p>ძირითადი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია მშენებლობის ეტაპზე, საგზაო სამოსის მოწყობის და გამაგრების სამუშაოების განხორციელებისას, რაც დაკავშირებულია მძიმე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობასთან და ოპერირებასთან. ქვეპროექტის ტერიტორია მოდიფიცირებულ გარემოში მდებარეობს. შესაბამისად, ზემოქმედება იქნება ხანმოკლე და უმნიშვნელო (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, სატრანსპორტო მოძრაობის და მისასვლელის დროებითი შეზღუდვა).</p>
<p><b>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვეპროექტს გარემოზე?</b></p>	<p>მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მოსალოდნელი არ არის. მცირე უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედება მხოლოდ მშენებლობის ეტაპზეა მოსალოდნელი, რაც მოკლევადიანია და დაკავშირებულია მცირე და საშუალო მასშტაბის ტიპური სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებასთან სოფლის ლანდშაფტში: აღნიშნული დაკავშირებულია ხმაურთან, მტვერთან, ვიბრაციასთან და სამშენებლო მექანიზმებით გამოწვეულ გამონაბოლქვთან; ასევე მოსალოდნელია სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა; სატრანსპორტო და ქვეითად მოსიარულეთა მისასვლელების შეზღუდვა; წყლის დაბინძურების შესაძლო შემთხვევები, როგორცაა მაგ. საწვავის, ზეთის, ან სამშენებლო მასალების დაღვრა, სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის რეცხვა; დაბინძურებული მიწის გაშიშვლება.</p> <p>სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, ასევე გარემოს</p>

	<p>დაბინძურების რისკი, დაკავშირებულია აზბესტის შემცველი მილების გატანასთან.</p> <p>ქვეპროექტის განხორციელება გზის მოვლა-პატრონობის ხარჯების და საზიანო გამონაბოლქვის შემცირებას გამოიწვევს. დაიწვეს საწვავის მოხმარების დონეც.</p> <p>სამშენებლო მასალების და წარმოქმნილი ნარჩენების ტრანსპორტირება განაპირობებს გზის დატვირთვის უმნიშვნელო ზრდას, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების პროცესში.</p> <p>საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან საცხოვრებელი სახლები ობიექტის სიახლოვესაა განლაგებული. სამშენებლო ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედება მოკლევადიანია, რაც არსებულ პირობებს არ გააუარესებს.</p> <p>მშენებლობის ეტაპზე ზემოქმედება ვეგეტაციაზე იქნება უმნიშვნელო. ტექნიკური პროექტით თანახმად, ქვეპროექტის ტერიტორიაზე ხეების მოჭრა დაგეგმილი არ არის.</p>
<p><b>შეიძლება თუ არა, რომ ქვეპროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</b></p>	<p>ქვეპროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება, ადგილობრივების და ვიზიტორების საცხოვრებელი და სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესების შედეგად. შემცირდება ისეთი უარყოფითი ზემოქმედება საზოგადოებაზე, როგორცაა ხმაური, გამონაბოლქვი და მტვერი.</p> <p>მიწის შეძენა, ადგილმონაცვლეობა და დროებითი ზემოქმედება ეზოების ღობეებზე ქვეპროექტით გათვალისწინებული არ არის.</p> <p>გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი, რადგან მშენებლობის დროს შეიქმნება დროებითი სამუშაო ადგილები, რაც გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ზრდას.</p>

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

<p>რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?</p>	<p>ქვეპროექტით გათვალისწინებულია არსებული გზის რეაბილიტაცია; შესაბამისად, ქვეპროექტის ტექნიკურ პროექტთან დაკავშირებული სხვა ალტერნატივები არ განხილულა.</p>
<p>ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების დროს მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება გარემოზე მარტივად არის შესაძლებელი. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ნარჩენების გატანა ნებადართულ ადგილას, მხოლოდ ლიცენზირებული კარიერების მასალის გამოყენება, წყლის და ნიადაგის დაბინძურების (საწვავის დაღვრა აღჭურვილობის გაუმართაობის გამო, მჭლე ასფალტის/ბეტონის დაღვრა) თავიდან აცილება, მოსახლეობის შეწუხების (ხმაური, მტვერი, ემისიები) პრევენცია - სამუშაოების წარმოების/მიწოდების, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის სწორი გრაფიკის ჩამოყალიბებით და სამშენებლო მექანიზმების გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა. სამუშაოების წარმოება არ მოხდება წვიმიან ამინდში; დაუშვებელია სამშენებლო მასალების მოხვედრა წყლის ობიექტებში; აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება, საწვავის და საპოხი მასალების გაჟონვაზე; ყველა მექანიზმის ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა უნდა განხორციელდეს ისე, რომ ნებისმიერი გაჟონვა და მასალების დაღვრა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი; კონტრაქტორი ვალდებულია, რომ მოახდინოს დასაწყობების ადგილების ორგანიზება და გადახურვა. მასალების დასაწყობების ადგილები დაცული უნდა იყოს წყალგაუმტარი გადახურვით, რათა არ მოხდეს მათი გამორეცხვა ძლიერი წვიმების და წყალდიდობების დროს; დაუშვებელია მანქანების ტექნიკური მოვლა-პატრონობის ადგილების მოწყობა რომელიმე წყლის ობიექტიდან 50 მეტრში.</p> <p>ქვეპროექტის განხორციელების პროცესში მოხდება გამაფრთხილებელი ნიშნების გამოყენება და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მართვა სამუშაოების წარმოების გარშემო.</p> <p>მიწების დემონტაჟის შედეგად აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვა საჭიროებს დიდ ყურადღებას, რათა არ მოხდეს მუშების, მეზობელი თემების წარმომადგენლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაზიანება და გარემოს დაბინძურება თავიდან იქნას აცილებული. შემარბილებელი</p>

ღონისძიებების სახით გამოყენებული იქნება შემდეგი: პირადი დაცვის აღჭურვილობის დისციპლინირებული გამოყენება, სამუშაო ტერიტორიის მორწყვა, სახიფათო ნარჩენების განცალკავებულად, უსაფრთხოდ შენახვა ტერიტორიაზე და მისი დროული გატანა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ გამოყოფილ ნაგავსაყრელზე. აზბესტის შემცველი მასალების ხელახალ გამოყენებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შესახებ ეცნობება ადგილობრივ მოსახლეობას და მიიღება მათი თანხმობა აღნიშნული მასალის გატანაზე.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან საცხოვრებელი სახლები ობიექტის სიახლოვესაა განლაგებული. კონტრაქტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს კონკრეტული ღონისძიებების გატარება ადგილობრივებზე ზემოქმედების შესარბილებლად; აღნიშნული მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებას მოსალოდნელი სამუშაოებისა და მუნიციპალური მომსახურების დროებითი შეზღუდვების შესახებ, მსგავსი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში; უნდა მოხდეს ასევე სამუშაო საათების შეზღუდვა დღის განმავლობაში, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა და სხვ. კონტრაქტორმა ასევე უნდა უზრუნველყოს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელი სახლებთან და ბიზნესებთან - გზის გასწვრივ და დაიცვას ადამიანები, ან ცხოველები ამოთხრილ ორმოებში, თხრილებსა და ღრმულებში შემთხვევითი ჩავარდნისგან. სამუშაოები კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს ისე, რომ თავიდან აიცილოს სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ არსებული ღობეებისა თუ სხვა კერძო საკუთრების დაზიანება.

ქვეპროექტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ მდებარეობს საჯარო სკოლა, სწორედ ამიტომ, სამშენებლო და საზედამხედველო კომპანიები შეიმუშავებენ უსაფრთხოების ზომებს, რათა უზრუნველყონ მოსწავლეებისა და მასწავლებლების უსაფრთხო მისვლა სკოლასთან. კონტრაქტორი დანიშნავს კონკრეტულ პირს ველზე (ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სპეციალისტს), რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების საკითხებზე - ობიექტზე. განსაკუთრებული ყურადღება

	<p>დაეთმოა აზბესტის შემცველი ნარჩენების უსაფრთხო განკარგვას. გატარდება პრევენციული ღონისძიებები, რათა მოსახლეობა არ შეეწინააღმდეგოს მსგავსი ნარჩენების გატანას და ისინი ინფორმირებულები იყვნენ აზბესტის შემცველი მასალის ხელახალ გამოყენებასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე; მოსახლეობის ინფორმირება უნდა მოხდეს დროული კომუნიკაციით და ცნობიერების ამაღლებით - აღნიშნულ საკითხზე.</p> <p>სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დროებითი განთავსება მოხდება წინასწარ შერჩეულ, შეთანხმებულ ტერიტორიაზე, არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რათა არ მოხდეს სახიფათო ნარჩენების შერევა სხვა ტიპის ნარჩენებთან და აზბესტის შემცველი მასალით გამოწვეული მტკერი მინიმუმამდე იქნას შემცირებული.</p> <p>აზბესტის შემცველ მასალასთან მომუშავე პერსონალი გაივლის სპეციალურ სწავლებას სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, მიიღებს და ატარებს პირადი დაცვის შესაბამის აღჭურვილობას, აზბესტის შემცველი მასალის განკარგვისას მოახდენს მის დასველებას (შესხურებით) და ფრაგმენტაციის პრევენციას, ჭარბი მტკერის ემისიის თავიდან აცილების მიზნით.</p>
<p><b>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვეპროექტის დიზაინში?</b></p>	<p>„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ (მფფ) აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და ფართომასშტაბიანი გზების და ქუჩების რეაბილიტაციის ქვეპროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. მსგავსი პროექტების განხორციელების საფუძველზე მიღებული ცოდნის შესაბამისად, ტექნიკური პროექტით გათვალისწინებულია საგზაო საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე თხრილების (კიუვეტების) მოწყობა, რაც უზრუნველყოფს საგზაო სამოსის შემდგომ მოვლა-პატრონობას, გათვალისწინებულია ასევე დაერთებების და შესასვლელების მოწყობა გზებზე. ეზოებში შესასვლელები მოეწყობა მუდმივი ასფალტის საფარით.</p>

<p>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვეპროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?</p>	<p>2022 წ. 23 სექტემბერს, მგფ-ის ორგანიზებით გაიმართა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა, „ადიგენის მუნიციპალიტეტის ციხისუბანი-ღორთუბანი-ზედუბანი-აფიეთის გზის 4.4 კმ მონაკვეთის რეაბილიტაციის“ პროექტის და აღნიშნული პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხილვის მიზნით.</p> <p>საკონსულტაციო შეხვედრის დეტალები (თარიღი, დრო და საკონტაქტო ინფორმაცია) წარმოდგენილი იყო განცხადებაში. განცხადებები გაიკრა შემდეგი სოფლების ქუჩებში: ციხისუბანი, ღორთუბანი, ზედუბანი, აფიეთი, ასევე - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და მგფ-ის ვებ-გვერდზე.</p>
---	--

**(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა**

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია
2. ქვეპროექტი მიღებულია

ქვეპროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის საკონტროლო სიის შევსებას
2. გარემოსდაცვით და სოციალურ განხილვას, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით



**ქვეპროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი**

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვეპროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	<b>X</b>	
2	ქვეპროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		<b>X</b>
3	გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		<b>X</b>
4	გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		<b>X</b>
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		<b>X</b>
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას <b>OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები</b> და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.</p>			

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მეორე პროექტი (SRMIDP-AF)
ქვეპროექტის დასახელება	ციხისუბანი-ღორთუბანი-ზედუბანი-აფიეთის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია (ადიგენის მუნიციპალიტეტი)
ქმედებების მოცულობა ქვეპროექტის ფარგლებში	<p>ქვეპროექტით გათვალისწინებულია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების: ციხისუბანის, ღორთუბანის, ზედუბანის და აფიეთის დამაკავშირებელი, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. საპროექტო გზა იწყება სოფელ ციხისუბანთან, კვეთს სოფელ ღორთუბანს, შემდეგ კი უერთდება ზედუბანის და აფიეთის სოფლებს. გზის სიახლოვეს არსებული ტერიტორია დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს, აქვეა სახნავ-სათესი მიწებიც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზის სიგანე მარშრუტის დასაწყისში 4,5 მეტრს შეადგენს, რაც შემდეგ იცვლება 4,0 მეტრით, დასახლების შეზღუდული პირობების გამო. საპროექტო გზის ჯამური სიგრძეა 4.4 კმ. გზის სავალი ნაწილიდან ხეობის წყლის მოცილების მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია 1.0 და 1.5 მ დიამეტრის მილების მოწყობა - სულ მოეწყობა 7 მილი.</p> <p>არსებული გზის საფარი მოსწორებული ადგილობრივი გრუნტია. მოხრეშვის, ან სხვა სახის სამუშაოები გზაზე არ ჩატარებულა. წყლის სადრენაჟე სისტემის არ არსებობის გამო, გზა ეროზიისგან დაზიანებულია და აღენიშნება ჩაღრმავებები. გზის საფარის განივი კვეთი მოტეხილია, თუმცა საერთო ჯამში, საგზაო სამოსის პროფილი დამაკმაყოფილებელია. პროექტი ითვალისწინებს არსებული საგზაო სამოსის საპროექტო ნიშნულამდე მიყვანას (დაპროფილებას) და ორი ტიპის საფარის (ცემენტო-ბეტონის და ასფალტო-ბეტონის) მოწყობას. ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა საჭიროა გზის იმ მონაკვეთებზე (ქანობებზე), სადაც განსაკუთრებით აღინიშნება დახრილობა და ასფალტის დამგები მექანიზმების ოპერირება სირთულეს წარმოადგენს.</p>

	<p>გზის საპროექტო მონაკვეთის გასწვრივ დაგეგმილია გზის საფარის 21 მუდმივი ტიპის შეერთების მოწყობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საფუძვლის ფენა - ქვიშა-ხრემის ნარევი, სისქე: 20 სმ;</li> <li>• გზის საძირკველი - ქვიშა-ხრემის ნარევი, სისქე: 15 სმ;</li> <li>• გზის საფარი - მსხვილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევი, სისქე: 6 სმ;</li> <li>• გზის საფარი - წვრილმარცვლოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევი, სისქე: 4 სმ.</li> </ul> <p>პროექტით ასევე გათვალისწინებულია არსებული, დაზიანებული აზბესტის შემცველი მილების დემონტაჟი.</p> <p>გზის საფარის მოწყობის შემდეგ შესრულდება გზის კეთილმოწყობის სამუშაოები, როგორცაა: კერძო საკუთრებასთან მისასვლელების, საგზაო შეერთებების მოწყობა, საგზაო ნიშნების მონტაჟი. ქვეპროექტით გათვალისწინებულია 28 მისასვლელის მოწყობა კერძო საკუთრებასთან, მუდმივი ასფალტის საფარით.</p> <p>გზის რეაბილიტაციის პროექტის პროექტირების პროცესში გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული სტანდარტი (სსტ) 72-2009: „გზის გეომეტრიული და კონსტრუქციული მოთხოვნები“. რეაბილიტაციის შედეგად საგზაო ღერძები არ შეიცვლება. შესაბამისად, გზის სავალი ნაწილის არსებული პარამეტრები დარჩება უცვლელი.</p> <p>ქვეპროექტის ადგილმდებარეობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ხასიათის გათვალისწინებით, ხეების ჭრის საჭიროება არ არის.</p>		
<p><b>ინსტიტუციონალური ორგანიზება</b> (მსოფლიო ბანკი)</p>	<p>სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:</p> <p>აქსელ ბამლერი</p> <p>(Axes Baeumler)</p>	<p>გარემოს დაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტები</p> <p>დარეჯან კაპანაძე - გარემოს დაცვა</p> <p>დავით ჯიჯელავა - სოციალური საკითხები</p>	
<p><b>განხორციელების ორგანიზება</b> (მსესხებელი)</p>	<p>განმახორციელებელი ერთეული:</p>	<p>სამუშაოების ზედამხედველი:</p>	<p>სამუშაოთა კონტრაქტორი:</p>

	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	კომპანია ეპტისა, ესპანეთი (Servicios de Ingenieria S.L.)	(-----)
<b>ადგილმდებარეობის აღწერა</b>			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ადიგენის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია თამარ მეფის ქ. 5, ადიგენი, საქართველო		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	ადიგენის მუნიციპალიტეტი		
ობიექტის გარშემო არსებული ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა	<p>სარეაბილიტაციო გზა ადიგენის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, დედაქალაქ თბილისიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 180 კმ-ში. ადიგენში ზაფხული კომფორტულია და ძირითადად უღრუბლო, ხოლო ზამთარში აღინიშნება ყინვა, თოვლი და ღრუბლიანობა - ნაწილობრივ. წლის განმავლობაში აღინიშნება ტემპერატურის ცვლილება 10°C-დან 22°C-მდე, იშვიათად, ტემპერატურა - 16°C-ზე დაბალია, ან 28°C-ზე მაღალი.</p> <p>მდინარე ქვაბლიანი ქვეპროექტის ტერიტორიიდან დაახლოებით 2.5 კმ-ში მდებარეობს.</p> <p>რაიონი მდიდარია ფლორის და ფაუნის ბიომრავალფეროვნებით. ქვედა სარტყელში განვითარებულია შერეული ტყე, სადაც ჭარბობს მუხა და რცხილა, აღინიშნება შემდეგი წიწვოვანი ხეების ფართო გავრცელება: ფიჭვი, სოჭი და ნაძვი. 2000 მეტრის ზემოთ აღინიშნება სუბალპური და ალპური მდელოები. ტყეებს აქვთ შესანიშნავი საკურორტო და საკონსერვაციო ღირებულება. ადიგენის ტყეებში ბინადრობს: დათვი, მგელი, მელა, ფოცხვერი, მაჩვი, ველური კატა, ფაშატი, ციყვი და სხვ. ასევე მრავალფეროვანია ორნითოფაუნა, აქ ვხვდებით მწყერს, კოდალას, კაჭკაჭს, ბულბულს და სხვ.</p>		
მასალების, მათ შორის შემავსებლების, განსაკუთრებით, წყლის და ქვების მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვეპროექტის განხორციელების ადგილიდან	<p>უახლოესი ნაგავსაყრელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ შოლავერთან, ქვეპროექტის ტერიტორიიდან 30 კმ-ში მდებარეობს.</p> <p>მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე (ადიგენის დასახლებასთან ახლოს, მდინარე ქვაბლიანზე) დაახლოებით 15 კილომეტრია.</p>		

კანონმდებლობა	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვეპროექტის განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) თანახმად, ქვეპროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალი რისკის „B“ კატეგორიის პროექტი.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას.</p> <p>ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სამშენებლო მასალების შექმნა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;</li> <li>- კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შექმნისა);</li> <li>- კონტრაქტორმა უნდა მიიღოს გარემოსდაცვითი ნებართვა გამონაბოლქვში დამაბინძურებელი კონცენტრაციის მაქსიმალური ზღვრის დადგენის ასახვით და მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, თუ ასფალტს, ან ცემენტო-ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შექმნისა სხვა მომწოდებლებისაგან);</li> <li>- მიწის სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ინერტული მასალის (მოჭრილი მიწა და ნატანი გრუნტი) მუდმივი განთავსების ადგილი წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ (მუნიციპალურ) გამგეობასთან;</li> <li>- აზბესტის მიღების დემონტაჟი განხორციელდება უსაფრთხოების კონვენციური წესების შესაბამისად, და მათი გატანა მოხდება უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, საქართველოს მთავრობის 2016 წ. 29 მარტის #145 განკარგულების და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის წესების და ნორმების შესაბამისად.</li> </ul>

	<p>- იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მოამზადოს ანგარიში ნარჩენების ინვენტარიზაციის შესახებ, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;</p> <p>დაცული უნდა იყოს სახელმწიფო სტანდარტების (GOST) და სამშენებლო წესების (SNIP) ნორმები.</p>
<p><b>საჩივრების მოგვარების მექანიზმი</b></p>	
<p>პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრების მოგვარების მიზნით, შეიქმნა საჩივრების მოგვარების მექანიზმი, მოთხოვნის შესაბამისად.</p> <p>ადიგენის მუნიციპალიტეტმა დანიშნა პასუხისმგებელი პირი - გოდერძი სხირტლაძე, რომელიც მიიღებს, განიხილავს და რეაგირებას მოახდენს შემოსულ საჩივრებზე. ტელ: 591 91 88 84; ელ. ფოსტა: <a href="mailto:gode.sxirtladze@gmail.com">gode.sxirtladze@gmail.com</a></p> <p>მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირია ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19; <a href="mailto:feedback@mdf.org.ge">feedback@mdf.org.ge</a> ; მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-4 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ მოგვარდება ადგილობრივ დონეზე, საჩივრის შემოტანა მოხდება მგფ-ში. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მგფ ახდენს ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას. საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე</p>	
<p><b>საჯარო კონსულტაცია</b></p>	
<p><b>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</b></p>	<p>2022 წ. 23 სექტემბერს, მგფ-ის ორგანიზებით გაიმართა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა, (ადიგენის მუნიციპალიტეტის) ციხისუბანი-ღორთუბანი-ზედუბანი-აფიეთის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის ქვეპროექტის და აღნიშნული ქვეპროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხილვის მიზნით. შეხვედრა გაიმართა ადიგენის მუნიციპალიტეტის ცენტრში - შემოქმედებით დარბაზში, მოსახლეობისთვის ყველაზე მოსახერხებელ ადგილას.</p>

	<p>კონკრეტული ადგილის შერჩევა მოხდა ადგილობრივების სურვილის გათვალისწინებით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების დახმარებით. საკონსულტაციო შეხვედრის დეტალები (თარიღი, დრო და საკონტაქტო ინფორმაცია) წარმოდგენილი იყო განცხადებაში. განცხადებები გაიკრა შემდეგი სოფლების ქუჩებში: ციხისუბანი, ღორთუბანი, ზედუბანი, აფიეთი, ასევე - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და მგფ-ის ვებ-გვერდზე.</p> <p>კონსულტაციის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვეპროექტის, დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ქვეპროექტის ფარგლებში მოსალოდნელი შესაძლო უარყოფითი/დადებითი ზემოქმედების, და მათ პრევენციისა, თუ შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.</p>
<b>დანართები</b>	
<p>დანართი 1: ქვეპროექტის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტო დოკუმენტაცია  დანართი 2: ქვეპროექტის ნახაზები  დანართი 3: ქვეპროექტის სიტუაციური რუკა  დანართი 4: საჯარო საკონსულტაციო პროცესის ამსახველი ჩანაწერი  დანართი 5: შეთანხმებები/ლიცენზიები (წარმოსადგენია)</p>	

**ნაწილი B: ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ**

გარემოს დაცვითი/ სოციალური სკრინინგი			
	აქტივობა/ საკითხი	სტატუსი	გააქტიურებული აქტივობა
მოიცავს თუ არა ადგილზე აქტივობა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს?	1. რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი A
	2. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი A
	3. ნარჩენი წყლების დამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. იხ. ქვემოთ ნაწილი B
	4. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი C
	5. მიწის შექმნა <sup>1</sup>	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი D
	6. ზემოქმედება მიწის და საკუთრების გამოყენებაზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი E
	7. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები <sup>2</sup>	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი F
	8. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი G

<sup>1</sup> მიწის შესყიდვა გულისხმობს ადამიანთა ადგილმონაცვლეობას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს - ჯიხურებს) მიწაზე, რომელიც შექმნაც მიმდინარეობს.

<sup>2</sup> ტოქსიკური/ სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება აზბესტით, ტყვიის შემცველი და სხვა ტოქსიკური საღებავებით, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელებით და ა.შ.



	<p>9. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი</p>	<p><input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა</p>	<p>თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი <b>H</b></p>
	<p>10. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა</p>	<p>თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი <b>I</b></p>
	<p>11. საზოგადოება და შრომის ჯანდაცვა და უსაფრთხოება</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა</p>	<p>თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი <b>J</b></p>

ნაწილი C: ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი
<p><b>O.</b> ზოგადი პირობები</p>	<p>შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება</p>	<p>(a) მშენებლობისთვის, ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვებისთვის, ნარჩენების გატანისთვის და სხვ. საკითხების შესრულებისთვის საჭირო კანონიერი ნებართვების მიღება;</p> <p>(b) მომუშავეთა პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE) შესაბამისობაში უნდა იყოს კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან (მუშაობის დროს ყოველთვის დამცავი ჩაფხუტის ტარება, და საჭიროების შემთხვევაში: ნიღბები და უსაფრთხოების ჩექმები) და უნდა განხორციელდეს კონტროლი აღნიშნული აღჭურვილობის გამოყენებაზე;</p> <p>(c) სამუშაო ტერიტორიებზე განლაგებული მაჩვენებლები მუშებისთვის, სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შესასრულებელი ძირითადი წესებისა და რეგულაციების შესახებ;</p> <p>(d) თითოეულ სამუშაო ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის შესახებ, შესაბამის საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად.</p>
<p><b>A.</b> ზოგადი რეაბილიტაცია და / ან სამშენებლო აქტივობები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე; ამასთან, ნარჩენებზე უნდა მოხდეს წყლის მოსხმა, მტვრის შესამცირებლად;</p> <p>(b) პნევმატური ბურღვის/ კედლების ნგრევის პროცესის შედეგად მიღებული მტვრის გავრცელება უნდა შეიზღუდოს წყლის მოსხმით და /ან ადგილზე მტვრის საწინააღმდეგო ეკრანის დამონტაჟებით;</p> <p>(c) მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს (სამშენებლო) ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;</p> <p>(d) სამშენებლო მასალის/ნარჩენების ღია ტიპის წვა სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა განხორციელდეს;</p> <p>(e) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმად არ უნდა იყოს გაჩერებული (საპროექტო) ტერიტორიაზე.</p>
	<p>ხმაური</p>	<p>(a) სამშენებლო ხმაური უნდა შეიზღუდოს დღის სამუშაო საათებით;</p>

		<p>(b) ოპერირებისას გენერატორების, დახურული ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან, დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს დასახლებული ტერიტორიებიდან.</p>
	<p>წყლის ხარისხი</p>	<p>(a) ადგილზე მოხდება ეროზიისა და დანალექების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ან შლამის მესერების დამონტაჟება, რაც ხელს შეუშლის დანალექების სამშენებლო ტერიტორიებიდან გასვლას და ახლომდებარე ნაკადებისა და მდინარეების ზედმეტ ამღვრევას;</p> <p>(b) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების გარეცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისად გამოყოფილ ადგილას, სადაც წყლის ჩამონადენი არ დააბინძურებს ბუნებრივი ზედაპირის წყლის ობიექტებს.</p>
	<p>ნარჩენების მართვა</p>	<p>(a) წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა, შესაძლებლობის ფარგლებში;</p> <p>(b) გენერირებული ნარჩენების სხვადასხვა ტიპების განცალკევება და ნარჩენების შესაბამისი სახეობების ხელახალი გამოყენება/რეციკლირება, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი;</p> <p>(c) ნარჩენების სხვადასხვა ტიპებისთვის დროებითი განთავსების ადგილების გამოყოფა. დაუშვებელია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების ზედმეტი მოცულობების აკუმულაცია;</p> <p>(d) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის და ზედმეტი მასალის (ინერტული სამშენებლო მასალა) საბოლოო განთავსების მიზნით ოფიციალური ნებართვების მიღება მუნიციპალური უწყებებიდან;</p> <p>(e) სახიფათო ნარჩენების, ან ლიცენზირებული კომპანიებისთვის აღნიშნული ნარჩენების გადაცემის საკითხის დროული გადაწყვეტა.</p>
	<p>მასალების მიწოდება</p>	<p>a) მასალები შეძენილი უნდა იქნეს იმ არსებული საწარმოებისა და კარიერებისაგან, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ოფიციალური ნებართვა, ან მოქმედი ლიცენზია საქმიანობის განსახორციელებლად;</p> <p>b) მოპოვებული უნდა იქნეს შესაბამისი ლიცენზია, თუ საჭიროა ახალი კარიერის გახსნა;</p> <p>c) კარიერების ტერიტორიების გამოყენებული მონაკვეთების აღდგენა, ექსტრაქციის (მოპოვების) გაგრძელების შემთხვევაში, ან მათი სათანადოდ დახურვა, ექსტრაქციის (მოპოვების) დასრულების და ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემთხვევაში;</p> <p>d) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკის საათებში;</p>

		<p>e) სიჩქარის მარეგულირებელი, მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებისთვის - საჭიროების შესაბამისად.</p>
<p>I ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად იყოს დაცული და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება - რეგულირებული. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(a) სანიშნები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ამსახველი ნიშნები; ტერიტორია იქნება ხილვადი, საზოგადოება კი გაფრთხილებული - ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ;</li> <li>(b) სატრანსპორტო მოძრაობის მართვის სისტემის დანერგვა და თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე წვდომასა და ტერიტორიის სიახლოვეს მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. უსაფრთხო გადასასვლელების და გადაკვეთების მოწყობა ფეხით მოსიარულეთათვის, სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის ადგილებში;</li> <li>(c) სამუშაო საათების ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგ: მნიშვნელოვანი ხასიათის სატრანსპორტო აქტივობები არ განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაღალი აქტივობის პერიოდებში (ე.წ. პიკი საათის დროს), ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში;</li> <li>(d) სატრანსპორტო მოძრაობის აქტიური მართვა, საზოგადოების უსაფრთხო და მოსახერხებელი გადაადგილების საჭიროების შესაბამისად;</li> <li>(e) ოფისის შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელ სახლებთან უსაფრთხო და უწყვეტი მიმოსვლის უზრუნველყოფა, თუ აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობისას, შენობების დახურვა საზოგადოებისთვის გათვალისწინებული არ არის.</li> </ul>
<p>F. სახიფათო, ან ტოქსიკური მასალები</p>	<p>აზბესტის მართვა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>(a) თუ აზბესტი ქვეპროექტის ტერიტორიაზეა განთავსებული, მისი, როგორც სახიფათო მასალის მარკირება უნდა მოხდეს გარკვევით;</li> <li>(b) იქ, სადაც შესაძლებელი იქნება, აზბესტი სათანადოდ უნდა შეიფუთოს და დაილუქოს, ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;</li> <li>(c) გატანამდე (გატანის საჭიროების შემთხვევაში), აზბესტი უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი საშუალებებით, აზბესტის მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;</li> <li>(d) აზბესტის მართვა და გატანა უნდა განხორციელდეს კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების მიერ;</li> </ul>

		<p>(e) აზბესტის მასალის დროებით დასაწყობების შემთხვევაში, მასალა უსაფრთხოდ უნდა განთავსდეს დახურულ ნაგებობებში და მოინიშნოს შესაბამისად. შესაბამისი ზომების გატარება, რათა არ მოხდეს მასალის უნებართვო გატანა საპროექტო ტერიტორიიდან;</p> <p>(f) დაუშვებელია მოხსნილი აზბესტის ხელახალი გამოყენება;</p>
	<p>ტოქსიკური/სახიფათო ნარჩენების მართვა</p>	<p>(a) ყველა სახიფათო, ან ტოქსიკური ნივთიერების დროებითი დასაწყობება საპროექტო ტერიტორიაზე უნდა მოხდეს უსაფრთხო კონტეინერებში - შესაბამისი ეტიკეტით, რომელზეც ასახული იქნება ინფორმაცია შემადგენლობის, მახასიათებლების და განკარგვის შესახებ;</p> <p>(b) სახიფათო ნივთიერებების შემცველი კონტეინერები უნდა განთავსდეს ჰერმეტიკულად დალუქულ კონტეინერებში, დაღვრის, ან გამოტუტვის თავიდან ასაცილებლად;</p> <p>(c) ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე; ჭარბი გრუნტის გატანა განხორციელდება ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებულ ადგილას;</p> <p>(d) დაუშვებელია ტოქსიკური ინგრედიენტების, გამხსნელების, ან ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება.</p>
<p><b>J.</b> საზოგადოების და შრომის ჯანდაცვა და უსაფრთხოება</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა</p>	<p>(a) კონტრაქტორის ჯგუფში პირის გამოყოფა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და მათი თხოვნების/საჩივრების მიღებაზე;</p> <p>(b) კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების განმახორციელებლებსა (დაქირავებულ სამუშაო ძალასა) და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტების გამოვლენის და შესაბამისად მართვის მიზნით;</p> <p>(c) ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამუშაოების განმახორციელებლების (დაქირავებულ სამუშაო ძალის ტერიტორიაზე) ყოფნასთან დაკავშირებით, სექსუალურად გადამდები დაავადებების რისკის შესახებ და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების ჩართვა, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში;</p> <p>(d) მოსახლეობის ინფორმირება მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების და აფეთქებისა და ნგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ;</p> <p>(e) სამშენებლო საქმიანობის შეზღუდვა ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ღამის სამუშაოების ფრთხილად დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადო ინფორმირება საჭირო ზომების შესახებ;</p>

		<p>(f) მოსახლეობის მინიმუმ ხუთი დღით ადრე ინფორმირება რომელიმე სერვისის (მათ შორის, წყლის, ელექტროენერჯის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების) შეწყვეტამდე; მოსახლეობის გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება სამუშაო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/ბიზნეს ობიექტებზე;</p> <p>(g) დამკვეთის მიერ შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის საშუალებით წამოჭრილი პრობლემური საკითხების მოგვარება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში;</p> <p>(h) სამუშაო ბანაკების განთავსება არ უნდა მოხდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო სიახლოვეს, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი;</p> <p>(i) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება უნდა განხორციელდეს მეზობელ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე.</p>
	<p>სამუშაო რესურსების მართვა</p>	<p>(a) არა-კვალიფიცირებული, ან ნახევრად-კვალიფიცირებული მუშების დაქირავება მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობიდან, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, ჩატარდეს მუშებისთვის შესაბამისი სწავლება (ტრენინგი), როდესაც და სადაც ასეთი ტრენინგის ჩატარება იქნება შესაძლებელი;</p> <p>(b) სამუშაო ტერიტორიაზე შესაბამისი სან. კვანძების ობიექტების (ტუალეტების და დასაბანი ადგილების) მოწყობა, ცხელი და ცივი წყლის, საპნის და ხელის საშრობი მოწყობილობების უზრუნველყოფით. ნებისმიერი სამუშაო ბანაკისთვის უნდა მოხდეს დროებითი სექტიკური ავზის სისტემის მოწყობა, რამაც არ უნდა გამოიწვიოს მახლობლად მდებარე წყლის ნაკადების დაბინძურება;</p> <p>(c) მუშების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ზოგადი ურთიერთობის მართვის საკითხებზე, ქცევის კოდექსის შემუშავება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და აღნიშნული კოდექსის მკაცრად დაცვა, რაც მოიცავს მუშების (სამსახურიდან) გაშვებას და შესაბამისი მოცულობის ფინანსური ჯარიმების დაკისრებას;</p> <p>(d) ზედამხედველი ინჟინრის და დამკვეთის სასწრაფო ინფორმირება სამუშაოების წარმოების ადგილზე მომხდარი ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ან გარემოზე.</p>

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
<b>სამშენებლო ფაზა</b>						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სტანდარტული ტექნიკური მდგომარეობა;	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შეზღუდვა; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია
სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;					

	ტრანსპორტირების დადგენილი საათებისა და მარშრუტების დაცვა				შეწუხების შეზღუდვა;  ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
ბუნებრივი სამშენებლო მასალების წყაროები	მასალების შემენა არსებული მომწოდებლებისგან, თუ ეს შესაძლებელია;  (მასალების) მოპოვების ლიცენზიის მიღება სამუშაოების კონტრაქტით და ლიცენზიით განსაზღვრული პირობების მკაცრი დაცვა;  კარიერის ტერიტორიის ტერასირება, კარიერის ტერიტორიის დამუშავებულ მონაკვეთებზე უკუჩაყრის განხორციელება და ჰარმონიზაცია ლანდშაფტთან;  მდინარის ხრეშის და ქვიშის ექსკავაცია წყლის	კარიერები	დოკუმენტების შემოწმება  სამუშაოების შემოწმება	მასალების მოპოვების პროცესში	ფერდობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა;  მდინარის ნაპირების ეროზიის, წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების და წყლის ბინადართა შეწუხების შეზღუდვა.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი



	ბიეფის მიღმა, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის არეალსა და წყლის დინებას შორის და მექანიზმების წყლის ბიეფში შესვლის აკრძალვა;					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;  ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია;  ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად - მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა	აზბესტის შემცველი ნარჩენების სათანადო განთავსება (იზოლირება) და მარკირება - როგორც სახიფათო მასალა;  აზბესტის შემცველი მასალის წყლით დასველება - შეპკურებით, აღნიშნული მასალის მართვის პროცესში;  აზბესტის შემცველ მასალასთან მომუშავე	სამშენებლო ობიექტზე	დოკუმენტების შემოწმება  სამუშაოების შემოწმება	დემონტაჟის სამუშაოების წარმოებისას	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების პრევენცია, მუშების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	<p>პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს სრული ეკიპირებით, დამცავი ნიღბებით და დამცავი სათვალეებით;</p> <p>უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღება, რათა არ მოხდეს აზბესტის შემცველი მასალის უნებართვო გატანა საპროექტო ტერიტორიიდან; მასალის სათანადო განთავსება და მარკირება, როგორც სახიფათო მასალა;</p> <p>მოხსნილი აზბესტის შემცველი მიწები დაუყონებლივ უნდა იქნას გატანილი უახლოეს ნაგავსაყრელზე - საზედამხედველო კომპანიის წარმომადგენლების ზედამხედველობის ქვეშ.</p>					
--	---	--	--	--	--	--

<p>ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა</p>	<p>სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება;</p> <p>სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორიაზე და სამშენებლო ტერიტორიის გარშემო</p>	<p>ინსპექტირება</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების პერიოდში</p>	<p>სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მაცხოვრებლები ს შეწუხების შეზღუდვა;</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი</p>
<p>მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p>	<p>მუშების ფორმებით და პერსონალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>სასმელი წყლის უზრუნველყოფა და ტუალეტების მოწყობა ქალებისა და მამაკაცებისთვის სამშენებლო ტერიტორიაზე;</p> <p>მუშების და პერსონალის ინფორმირება მუშა მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან დაკავშირებით პერსონალის უსაფრთხოების წესებისა</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია</p>	<p>ინსპექტირება</p>	<p>გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას</p>	<p>საწარმოო უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილება</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი</p>

	<p>და ინსტრუქციების შესახებ, და აღნიშნული წესების/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა;</p> <p>კოვიდ-19-ის ინფექციის გავრცელების პრევენციის გეგმის შემუშავება და დაცვა, და მოქმედება აღნიშნული ინფექციის შესაძლო გავრცელების შემთხვევაში.</p>					
საქმიანობა დასახლებაში	<p>პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირება მომავალი სამუშაოების და მუნიციპალური მომსახურების მიწოდების დროებითი შეფერხების შესახებ, რამაც შესაძლოა იჩინოს თავი სამუშაოების წარმოების პროცესში;</p> <p>დღის განმავლობაში დადგენილი სამუშაო საათების დაცვა, ხმაურის და მტვრის ემისიების მინიმუმამდე დაყვანა,</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად	ადგილობრივი მაცხოვრებლები ს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეწუხების მინიმუმამდე შემცირება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	<p>მოდრავი სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სიჩქარის შეზღუდვა;</p> <p>სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ განთავსებულ სახლებთან და ბიზნეს ობიექტებთან ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო მისასვლელის უზრუნველყოფა და ადამიანების/ცხოველების ამოთხრილ ორმოებში, თხრილებში და ღრმულებში შემთხვევითი ჩავარდნისაგან დაცვა;</p> <p>გზის გასწვრივ არსებული ღობეების და სხვა კერძო საკუთრების დაზიანების პრევენცია და დაუყოვნებლივი აღდგენა, დაზიანების შემთხვევაში.</p>					
<b>საოპერაციო ფაზა</b>						
რეზილიტირებული გზის	შესაბამისი საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, სატრანსპორტო მოძრაობის	გზის რეაბილიტირებ	ინსპექტირება	მოვლა-პატრონობის პროცესში	საგზაო შემთხვევების და	ადიგენის მუნიციპალიტეტი


<p>მოვლა- პატრონობა</p>	<p>უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;  შეკეთების პროცესში არსებული გზის მონაკვეთების დემარკაცია;  ასფალტის და/ან სხვა ნარჩენების გატანა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ტერიტორიიდან - გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.</p>	<p>ული მონაკვეთები</p>			<p>სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევის თავიდან აცილება</p>	
-----------------------------	---	----------------------------	--	--	---	--



დანართი 1. ქვეპროექტის არსებული მდგომარეობის ამსახველი რამდენიმე ფოტო




დანართი 2. ქვეპროექტის ნახაზები











ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ h-10 կՄ

- ՆԱՄՆԱԴՐՈՆ ԿՆՔՆԱ ՊՈՒՆԱ - ՎՅՈՒՄՆԱԿՆՏՐՈՒՄՆԱԿՈ ՔՐՈՒՅԵԼ ԿՈՒՅՈՒ ԾՆՈՒՄ ԵՆՏՈՒՄ 4 կՄ
- ՆԱՄՆԱԴՐՈՆ ԿՆՔՆԱ ՊՈՒՆԱ - ՖԵՆՅՈՒՄՆԱԿՆՏՐՈՒՄՆԱԿՈ ՊՐՈՏՐՈՒՄՆԱԿՈ ԾՆՈՒՄ ԵՆՏՈՒՄ 6 կՄ
- ՆԱՄՆԱԴՐՈՆ ԿՆՔՆԱ ՊՈՒՆԱ - ԹՐՎՅՈՒՄՆԱԿՆՏՐՈՒՄՆԱԿՈ ԿՈՒՅՈՒ 15 կՄ
- ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ 20 կՄ


ՅՈՒՄՆԱԿԱՆ



- ՅՈՒՄՆԱԿԱՆ:
1. ՆԱԿԱԿԱՆ ՅՈՒՄՆԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ
  2. ՆԱԿԱԿԱՆ ՅՈՒՄՆԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ
  3. ՅՈՒՄՆԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ
  4. ՈՒ ՆԱԿԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ ԿՈՒՅՈՒ



ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ h-10 կՄ



ՊՆՆ "ԱՐԻՏՈՒ"

ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ

ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ


ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ

ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ

ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ

ՔՐՈՒՅԵԼ ԹՈՏՈՎԱԿԱՆ ԿՈՒՅՈՒ

დანართი 3. ქვეპროექტის სიტუაციური რუკა





**საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი**

**გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის პროექტსა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაზე**

**რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსება (AF)**

**ციხისუბანი-ლორთუბანი-ზედუბანი-აფიეთის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი ადიგენის მუნიციპალიტეტში**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) ორგანიზებით, 2022 წ. 23 სექტემბერს გაიმართა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა, „ციხისუბანი-ლორთუბანი-ზედუბანი-აფიეთის გზის მონაკვეთის (ადიგენის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის“ ქვეპროექტის და აღნიშნული პროექტისთვის მომზადებული გარემოს დაცვის და სოციალური სკრინინგის ანგარიშის პროექტის და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხილვის მიზნით. შეხვედრა გაიმართა ადიგენის მუნიციპალიტეტის ცენტრში - შემოქმედები დარბაზში, მოსახლეობისთვის ყველაზე მოსახერხებელ ადგილას. კონკრეტული ადგილის შერჩევა მოხდა ადგილობრივების სურვილის გათვალისწინებით, და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების დახმარებით. საკონსულტაციო შეხვედრის დეტალები (თარიღი, დრო და საკონტაქტო ინფორმაცია) წარმოდგენილი იყო განცხადებაში. განცხადებები გაიკრა შემდეგი სოფლების ქუჩებში: ციხისუბანი, ლორთუბანი, ზედუბანი, აფიეთი, ასევე - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და მგფ-ის ვებ-გვერდზე.

კონსულტაციის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვეპროექტის, დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო უარყოფითი/დადებითი ზემოქმედების, და მათ პრევენციისა, თუ შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

**ადგილობრივები:**

1. ასლან ბერიძე
2. რომან მარკოიძე
3. ჯიმი ნადირაძე
4. თეიმურაზ მიქელაძე
5. ასლან შავაძე
6. მარადი შავაძე

7. თორნიკე აბულაძე
8. ზაზა ბერიძე
9. დავით შავაძე
10. ავთანდილ ცეცხლაძე
11. დავით მარკოიძე
12. ნუგზარ მგელაძე
13. ნუგზარ ნადირაძე
14. დავით ბერიძე
15. რამაზ ირემაძე
16. გელა ნადირაძე
17. თამაზ ირემაძე
18. თემურ მიქელაძე
19. რევაზ ბერიძე
20. რამინი მიქელაძე
21. ჯემალი აგლაძე
22. ციცო წარიმანიშვილი
23. ლამარა ჯელია
24. ნინო თუმანიშვილი
25. ნათია ნათენაძე
26. ივეტა ძინძიბაძე
27. თამუნა ვარდიძე
28. მარი ჯელია
29. ნონა რეხვიაშვილი
30. ნათია რობაქიძე

**ადიგენის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები:**

არსენ ბალახაშვილი - მერის პირველი მოადგილე

გოდერძი სხირტლაძე - მერიის ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამსახურის უფროსი (საჩივრების მოგვარების მექანიზმის (GRM) საკონტაქტო პირი)

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:**

სალომე მეფარიშვილი - გარემოს დაცვის სპეციალისტი

ნუცა გუმბერიძე - ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი (საჩივრების მოგვარების მექანიზმის (GRM) საკონტაქტო პირი)

შეხვედრა გახსნა სალომე მეფარიშვილმა, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები გააცნო და წარმოადგინა ინფორმაცია შეხვედრის მიზნების შესახებ. მან ასევე წარმოადგინა ქვეპროექტი და დეტალურად განიხილა ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სალომე მეფარიშვილმა განმარტა, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, ქვეპროექტი არ საჭიროებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, თუმცა ქვეპროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მგფ ვალდებულია, რომ უზრუნველყოს შესაბამისობა მსოფლიო ბანკის

სოციალურ და გარემოს დაცვის პოლიტიკასთან. შესაბამისად, სალომე მეფარიშვილმა წარმოადგინა როგორც მსოფლიო ბანკის სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები, ასევე აღნიშნული ქვეპროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP).

სალომე მეფარიშვილმა მოკლედ მიმოიხილა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) შინაარსი და სტრუქტურა. მან წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული გარემოსდაცვითი, სოციალური, საზოგადოებრივი და შრომის მართვის ღონისძიებები. აღნიშნული დოკუმენტის (ESMP) არსებითი ნაწილის შესაბამისად, დამსწრე საზოგადოებას მან აცნობა წარმოდგენილ ქვეპროექტთან დაკავშირებული შესაძლო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ და მოახდინა მათი ინფორმირება შემარბილებელი ზომების თაობაზე, შესაბამისი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

სალომე მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ, წარმოდგენილი გეგმით (ESMP) გათვალისწინებული ზომების გატარება სოციალური, ბუნებრივი გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მშენებელი კონტრაქტორის ვალდებულებას წარმოადგენს. სალომე მეფარიშვილმა ასევე მიმოიხილა ქვეპროექტის განხორციელების დროს შესასრულებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ასპექტები, გარემოს დაცვის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი მხარეების საკითხი და ანგარიშგების პროცედურები - ქვეპროექტის განხორციელების პროცესში.

ნუცა გუმბერიძემ მონაწილეებს აცნობა მგფ-ში შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის პროცედურების და აღნიშნული მექანიზმის მნიშვნელობის შესახებ. დამსწრე საზოგადოებას მან გაუზიარა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, გარემოს დაცვასთან, ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრების წარმოქმნის, და/ან შენიშვნების და შემოთავაზებების გამოხატვის სურვილის შემთხვევაში. შეხვედრაზე მან წარმოადგინა ინფორმაცია (საინფორმაციო) დაფების თაობაზე, სადაც მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ნომრები და ელ. ფოსტა) საჩივრების მოგვარების მექანიზმთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებს ეცნობათ ასევე საჩივრების ყუთების შესახებ. აღნიშნული ყუთები და საჩივრების ფორმები - ანონიმური საჩივრებისთვის, განთავსდება ყველა ობიექტზე. ნუცა გუმბერიძემ დამსწრე საზოგადოების წინაშე წარმოადგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის, საზოგადოებრივი ჩართულობის, უკუგების მექანიზმების და გენდერთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. მან ასევე დასვა შეკითხვები პროექტის განვითარების ისეთი ინდიკატორების შესახებ, როგორცაა მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ეფექტიანობა ინვესტიციის სკრინინგის, პრიორიტეტების განსაზღვრის და ქვეპროექტის შერჩევის პროცესებში.

შეხვედრის დასასრულს, დამსწრე საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ კითხვა/პასუხის სესიაში; მათ მიერ დასმულ იქნა შემდეგი კითხვები:

კითხვები და შენიშვნები:	პასუხები და კომენტარები:
-------------------------	--------------------------

როდის დაიწყება ქვეპროექტი და რამდენხანს გაგრძელდება?

შეხვედრის მონაწილეებს ეცნობათ შესყიდვების დარჩენილი პროცედურების და ქვეპროექტის ხანგრძლივობის შესახებ

შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს მადლიერება და აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი ქვეპროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ისინი დიდხანს ელოდნენ არსებული გზის რეაბილიტაციას და სურთ, რომ პროექტი რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს, არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით.


მონაწილეებმა, მათ შორის ქალბატონებმა, გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვეპროექტის მიმართ.

ფოტო მასალა თანდართულია.





მონაწილეთა ნუსხა:



ოქმი მომზადებულია მფგ-ის წარმომადგენლების მიერ. მომზადების თარიღი: 2022 წ. 28 სექტემბერი.